

A black and white photograph of a coastal town. In the foreground, a stone wall runs along the water's edge. Large waves are crashing against the wall, creating a massive splash of white water that dominates the left side of the frame. In the background, several multi-story buildings with gabled roofs and balconies are visible. A street lamp stands near the water. The overall scene is dynamic and captures the power of the ocean meeting a built-up shore.

**როგორ
დავიცვათ
თავი
წყალდიდობისგან**

ქუთაისი, 2015

ბროშურა მომზადებულია პროექტის „მცირე მდინარეები- დიდი პრობლემები“ ფარგლებში. მასში მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ადამიანებმა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების შემთხვევაში.

შესავალი

სტიქიურ-კატასტროფულ მოვლენებს შორის წყალდიდობებსა და წყალმოვარდნებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მათზე მოდის მსოფლიოში სტიქიურ უბედურებებისაგან მიყენებული ზარალის 40%.

საქართველო ჰიდროგრაფიული ქსელის მაღალი სიმჭიდროვითა და წყალმოვარდნების მაღალი სიხშირით გამოირჩევა. ბოლო წლებში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა და მათ მიერ გამოწვეულმა შედეგებმა დაგვანახა, რომ აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დიდი და მცირე მდინარეების კალაპოტების მოკვლევები, გატარდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. დაინერგოს და ამოქმედდეს სტიქიური მოვლენების წინასწარი შეტყობინების სისტემები. სრულყოფილი, ზუსტი მონაცემთა ბაზის შედგენა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მომხდარი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შესახებ ინფორმაციას, არამედ მათ სტანდარტიზაციას, შემოწმებასა და არსებული მონაცემების სისტემატურ განახლებას. ასევე მნიშვნელოვანია ამ მონაცემების მოსახლეობისადმი და შესაბამისი სტრუქტურებისათვის დროული მიწოდება.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანი და აუცილებელია მოსახლეობა მომზადებული დახვდეს სტიქიურ მოვლენებს, იცოდეს სტიქიური მოვლენების დროს ქცევის წესები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი მატერიალური ზარალი და გამოიძებნოს საშუალებები და გზები მათი შესაძლო რისკის შესამცირებლად.

წყალდიდობა და წყალმოვარდნა

საქართველოში მდინარეების ქსელი ხშირია და მათი საერთო რაოდენობა 25000-ს აღემატება, მათ შორის 138 მდინარეს 25 კმ-ზე მეტი სიგრძე აქვს. უდიდესი მდინარეებია: მტკვარი, რიონი და ენგური. ტრანზიტული მდინარეებია: მტკვარი, ჭოროხი, დებედა. საქართველოს ტერიტორიაზე ღვარცოფსაშიშ მდინარეებსა და ხევეების აუზებს ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის 50%-ზე მეტი უკავია.

საქართველოსთვის დამახასიათებელია **წყალდიდობები და წყალმოვარდნები**.

წყალდიდობა არის ხმელეთის ნაწილის დროებითი დაფარვა წყლით (სხვადასხვა ბუნებრივი ძალების მოქმედებით). წყალდიდობას ახასიათებს განვითარების შედარებით ნელი ტემპი და გამონვეულია ხანგრძლივი წვიმებით ან თოვლის სწრაფი დნობით. ამ ტიპის წყალდიდობები ხდება მაშინ, როდესაც მდინარის კალაპოტის ტევადობა ნაკლებია წყლის ჩამონადენზე.

წყალმოვარდნა საქართველოში ინტენსიური წვიმებით წარმოქმნილი ერთიანი ჩამონადენის უეცარი ზრდის შედეგია, რაც შეიძლება წარმოიქმნას მეწყრული სხეულით ხეობის ჩაკეტვის ან კაშხლის გარღვევის შედეგად და სხვ.

გამომწვევი მიზეზების მიხედვით წყალდიდობები შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- წყალდიდობა გამონვეული უხვი ნალექების მოსვლით, თოვლის ან მყინვარის დნობით, რასაც მოყვება წყლის დონის ამაღლება მდინარეებში, მათ შენაკადებსა და ტბებში;
- წყალდიდობა გამონვეული უეცრად ამოვარდნი-ლი ქარით დიდი მდინარეების, ტბებისა და ზღვების სანაპირო ზოლში. ქარი ხელს უწყობს მდინარეებში წყლის დონის მომატებას და ხელს უშლის წყლის ჩადინებას ზღვაში.

- წყალდიდობა გამოწვეული წყალქვეშა მიწისძვრით. ხასიათდება დიდი სიმაღლის გიგანტური ტალღების (ცუნამების) წარმოქმნით. ცუნამის გავრცელების სიჩქარე აღწევს 1000 კმ/სთ, ტალღის სიმაღლე 5 მ და მეტი, ხანგრძლივობა 3 საათამდე.

- წყალდიდობა შეიძლება გამოწვეული იქნეს ცალკეული ადგილების დატბორვით უხვი ნალექებისა და წყლის დონის მკვეთრი ამაღლების შედეგად მდინარეებში, ტბებსა და ზღვაში.

მდინარეები, რომლებიც ძირითადად თოვლის მდნარი წყლით ან მყინვარული ჩამონადენით საზრდოობენ, ხასიათებიან ხარჯის მაღალი მაჩვენებლით გაზაფხულსა და ზაფხულში და დაბალი მაჩვენებლით - ზამთრის განმავლობაში. მდინარეები, რომლებიც ძირითადად საზრდოობენ წვიმებით, წარმოქმნიან წყალდიდობებს ინტენსიური წვიმების შედეგად. მდინარეები, რომლებიც სათავეს იღებენ კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, სადაც თოვლიანობა სეზონური მოვლენაა, ხასიათდებიან გაზაფხულის წყალდიდობებითა და ზაფხულ-შემოდგომის წყალმოვარდნებით.

წყალდიდობები დამახასიათებელია საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის, როგორც ბარის, ისე საშუალო და მაღალმთიან მდინარეთა აუზებისათვის. მასშტაბური სტიქიური უბედურებების გავრცელების არეალი საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ნაწილი — მთათაშორისო ბარია.

ქვემოთ ცხრილში 1 მოყვანილია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ აღრიცხული წყალდიდობა-წყალმოვარდნების შემთხვევების რაოდენობა, ზარალი და მსხვერპლი 1995-2010 წლებში.

ცხრილი 1

წლები	შემთხვევათა რიცხვი	მატერიალური ზარალი, მლნ ლარი	მსხვერპლი, ადამიანი
1995	4	3.2	1
1996	11	28,5	1
1997	12	38	0

1998	2	2	1
1999	8	30,5	1
2000	2	2	0
2001	4	4,1	0
2002	16	78,8	0
2003	6	4,2	2
2004	10	20	1
2005	20	80	4
2006	8	15	1
2007	7	40,3	1
2008	16	38	1
2009	20	30	3
2010	18	20,7	5
სულ	164	435,7	22

საგანგებო სიტუაციების შეფუძინების სისტემა და მასზე რეაგირების სქემა

ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგოებიდან ნებისმიერ სიმაღლეზე წყლის დონის მატებისა და სხვა ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდროპროგნოზირების სამსახურს, რომელიც ახორციელებს მიღებული მასალების ანალიზს, გადამუშავებასა და შესაძლო წყალმოვარდნებისა და წყალდიდობების შესახებ პროგნოზს.

შესაძლო წყალდიდობის პროგნოზი (საშიშროების დონეების მიხედვით) ოპერატიულად გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტსა და სამხარეო (გუბერნატორის) ადმინისტრაციას. შესაბამისად, სამხარეო ადმინისტრაციას მზადყოფნაში მოჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის სახანძრო-სამაშველო ძალები და ორგანი-

ზებას უკეთებს ადგილზე შესაძლო დატბორვის ზონაში მყოფი მოსახლეობის შეტყობინებას, მათი უსაფრთხო ადგილებში ევაკუაციასა და სასიცოცხლო უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

წყალდიდობის წარმოქმნის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბის შეკრებას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი. შტაბის დაკომპლექტება ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ფუნქციების გათვალისწინებით. შტაბს ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი, რომელიც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად კოორდინაციას უწევს ადგილობრივ ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ წერილობით მოხსენებას ამზადებს ყოველი ახალი ინფორმაციის მიღებისთანავე. ეროვნულ დონეზე დახმარების მიღებამდე ყველა გადანყვეტილებას იღებს შტაბის უფროსი.

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობას, მოითხოვს დახმარებას ეროვნულ დონეზე, როდესაც არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ადგილობრივი ძალები და საშუალებები.

საგანგებო სიტუაციებში მართვის სქემა გულისხმობს კატასტროფებზე რეაგირების სამ დონეს:

— **პირველი დონე**, როდესაც რეაგირების პროცესში ჩართულია რაიონული მმართველობა, რაიონული სახანძრო-სამაშველო რაზმი და რაიონში მობილიზებული ეროვნული გვარდიის რეზერვისტები.

კატასტროფის ადგილიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე რაიონის გამგებელი ორგანიზებას უკეთებს პირველი რიგის სამაშველო ღონისძიებებს, ინფორმაციას საგანგებო ვითარების,

გატარებული ღონისძიებებისა და საჭირო დახმარებების შესახებ აწვდის სამხარეო ადმინისტრაციას. თუ ძალები საკმარისი არ არის, ითხოვს დახმარებას.

— **მეორე დონე**, როდესაც პროცესში ერთვებიან მხარეში არსებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამხედრო ნაწილები, რეზერვისტები, დაზარალებული რაიონის მეზობელი რაიონების სახანძრო-სამაშველო ნაკრები რაზმები გუბერნატორის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მხარეში, რომელიც კოორდინაციას უწევს მხარეში არსებულ ყველა სამაშველო ძალისა და რესურსების გამოყენებას კატასტროფაზე რეაგირების მიზნით. იგი ამავე დროს ინფორმაციას აწვდის საგანგებო ვითარების, გატარებული ღონისძიებებისა და საჭირო დახმარებების შესახებ პრემიერ-მინისტრს, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს.

— **მესამე დონე** შეესაბამება საგანგებო სიტუაციებზე ეროვნულ რეაგირებას. ამ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინირებას ახდენს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომლის სამუშაო ორგანოს წარმოადგენს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი. შესაბამისად, ორგანიზება უკეთდება კრიზისის მართვის ცენტრის ფუნქციონირებას, სადაც გაერთიანებული არიან განვითარებული რისკის სახეობისა და სიძლიერის მასშტაბების შესაბამისად სხვადასხვა სამინისტროები, უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული რესურსები და ძალები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ, კრიზისების მართვის ცენტრი ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო დახმარებების შესახებ მოთხოვნებზე, რაც სპეციალური ფორმით ეცნობება ნატოს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკურ საკოორდინაციო ცენტრს, გაეროს შესაბამის სტრუქტურებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ევაკუაციის განხორციელების ზოგადი რეკომენდაციები

- ევაკუაცია უნდა განხორციელდეს საგანგებო შემთხვევებში შენობის დაუყოვნებლივი დატოვების აუცილებლობის დროს;
- გაიგებთ რა შეტყობინებას მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ, ეცადეთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე, არ გამოიწვიოთ თქვენი მოქმედებებით პანიკა;
- საევაკუაციო სქემის მიხედვით დატოვეთ შენობა.
- ადგილობრივი თვითმართვლობის ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრული უნდა იყოს უსაფრთხო ადგილები და მისკენ გადაადგილების მარშრუტები საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების მეთოდისა და, შესაბამისად, ევაკუაციის ყოველმხრივი უზრუნველ-ყოფის გათვალისწინებით.



წყალდიდობის შედეგების შემამცირებელი ღონისძიებები

არსებობს კატასტროფული წყალდიდობისაგან დაცვის ორი მეთოდი: **ოპერატიული და ტექნიკური.**

ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო კარგად დახვეწილი საინფორმაციო-გამაფრთხილებელი სისტემის ამოქმედება, ასევე ისეთი სახის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, როგო-რიცაა მოსახლეობის ევაკუაცია, მატერიალური ფასეულო-ბების გატანა, ჯებირების გამაგრება და სხვა.

ოპერატიული ღონისძიებები მთლიანად არ წყვეტს წყალდიდობისაგან დაცვის პრობლემას. ასევე მიმართავენ **ტექნიკური ღონისძიებებს**, რომლებიც ატარებენ პრევენციულ ხასიათს, ხოლო მათი განხორციელებისათვის აუცილებელია სპეციალური საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა საკმაოდ დიდი მატერიალური და ფინანსური დანახარჯებით.

წყალდიდობის დროს ახდენენ:

- მდინარის კალაპოტში შენაკადის რეგულირებას;
- მომატებული წყლების გადაგდებას;
- ზედაპირული წყლების რეგულირებას წყალსაცავებში;
- მიწაყრილის მოწყობას;
- მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნებას ან ჩაღრმავებას;
- ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობას;
- ტერიტორიების მოზონებას.

ტერიტორიების დატბორვისაგან დაცვის ხერხების შერჩევა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, კერძოდ, წყლის ნაკადის ჰიდრაულიკურ რეჟიმზე, ტერიტორიის რელიეფზე, საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე, საინჟინრო ნაგებობების არსებობაზე მდინარის კალაპოტში (ჯებირები,

წყალსაცავები, ხიდები, გზები, წყალშემკრებები, დამბები), ადგილმდებარეობაზე (სამშენებლო კარიერების, ეკონომიკის ობიექტებისა, რომლებსაც ემუქრება დატბორვა).

წყლის მაქსიმალური ხარჯის შემცირება მიიღწევა ასევე:

- ტყედამცავი ზოლების დარგვით;
- ფერდობების განივი დახვნით;
- სანაპირო წყალდამცავი მცენარეული საფარის შენარჩუნებით;
- ფერდობების ტერასირებით და ა. შ.

ეს და სხვა აგროსატყეომელიორაციული ღონისძიებები უზრუნველყოფენ წყლების სწრაფად გამდინარე ზედაპირული დინების გადაყვანას უფრო ნელ მიწისქვეშა დინებაში.

ზედაპირული წყლების გადაგდებისათვის იქმნება საკოლექტორო - სადრენაჟო ქსელი, რომლის მეშვეობითაც წყლები გროვდება აუზებსა და ხეობებში.

! აბრომალიორაციული ღონისძიებების გატარება და ასევე, არხების მშენებლობა მიზანშეწონილია მხოლოდ მცირე მდინარეებზე.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- შესაძლო კატასტროფული დატბორვის, საზღვრების განსაზღვრა, თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესახებ მართვის ორგანოების, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებისა

- და საშიშ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის წინასწარი შეტყობინების წესის შემუშავება და უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში მომხდარის შესახებ ინფორმაციის დროული მოპოვება და მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის;
 - დატბორვისა და მენყერსაშიში ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციისა და გაყვანის მარშრუტების შემუშავება;
 - დაზარალებული მოსახლეობისთვის შეკრების ადგილების განსაზღვრა, რომლებიც ევაკუირებულნი უნდა იქნენ საშიში ზონიდან;
 - საგანგებო სიტუაციის ზონაში სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისთვის განკუთვნილი ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა, მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
 - ადგილობრივი მოსახლეობისაგან სამაშველო-აღდგენითი ჯგუფების უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და აღჭურვილობით;
 - სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად, ან სალიკვიდაციოდ აუცილებელი მატერიალური საშუალებებისა და სანვაგ-საცხები მასალების რეზერვების შექმნა;
 - რაიონში არსებული მძიმე ტექნიკის მობილიზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მეზობელი რაიონიდან მათი მოზიდვის ორგანიზება;
 - ადგილობრივი სახანძრო-სამაშველო ძალების მომზადება სპეციალური საინჟინრო-სამაშველო ოპერაციების შესრულების მიზნით;

წყალდიდობის სანიანალმდეგო ღონისძიებები:

დატბორვის რაიონებში წინასწარ შეიძლება ჩატარდეს შემდეგი წყალდიდობის სანიანალმდეგო ღონისძიებები:

- წყლის დინების რეგულირება;
- ცალკეული წყალსაცავისა და ზოგ შემთხვევებში წყალსაცავების მთელი სისტემების მშენებლობა;
- მდინარის კალაპოტის ჩახერგილი უბნების განმენდა და გაღრმავება;
- დატბორვის ხაზს იქით წინასწარ პროდუქტებისა და მედიკამენტების საწყობების მოწყობა.
- სსსთ-ის შტაბის მიერ შეტყობინების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სწრაფ ინფორმირებას.



იმ რაიონებში, სადაც მოსალოდნელია წყალდიდობა, წასდება სისტემატური მეთვალყურეობა. მცირე საშიშროების შემთხვევაში კი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს ჰიდრომეტეოლოგიისა და შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების სააგენტოს მიერ!

მოსალოდნელი კატასტროფული დატვირთვის

გამოცხადებისას იწყება:

- მოსახლეობის ევაკუაცია, პირუტყვის გარეკვა;
- ტექნიკისა და ძვირადღირებულ მონყობილებათა გატანა;
- ტარდება სამრეწველო ობიექტების მონყობილობათა დაცვისა და გადაზიდვის ღონისძიებები. ცხადია, მონყობილობათა მთლიანი დემონტაჟისა და გადაზიდვისათვის დრო საკმარისი არ იქნება, ამიტომ აუცილებელია მხოლოდ უნიკალურ მონყობილობათა, ჩარხებისა და აპარატურის გადმოზიდვის განხორციელება. დარჩენილ მონყობილობას წყლის ზემოქმედებისაგან დასაცავად უნდა წავეუსვათ ზეთი, შევახვიოთ წყალგაუმტარი მასალით და მივიღოთ სხვა დაცვითი ზომები;
- ხდება საჩქარო ევაკუაცია საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და მოხუცების, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ მოძრაობა;
- ადამიანებთან ერთად ხდება განსაკუთრებული სახელმწიფო ფასეულობების ევაკუაცია.



მოსახლეობის ქცევის წესები წყალდიდობის დროს:



წყალდიდობა ვითარდება წელს და თქვენ გაქვთ დრო, მიიღოთ ზომები ქონებისა და მატერიალური ფასეულობების გადასარჩენად.

- მატერიალური ფასეულობები გადაიტანეთ უსაფრთხო ადგილას, თქვენ კი შეაფარეთ თავი შენობის ზედა სართულს, სახლის სახურავს;
- პირველი სართულის ფანჯრები და კარები ამოჭედეთ გარედან ფიცრებით;
- მოახდინეთ შინაური ცხოველების ევაკუაცია, თუ ეს შეუძლებელია, გამოიყვანეთ ისინი თავიანთი სადგომებიდან;
- ერიდეთ ელექტროგადამცემ საჰაერო ხაზებთან ახლოს ყოფნას;
- თუ წყლის დონემ იმდენად აიწია, რომ იგი დატბორვით ემუქრება საცხოვრებელ სახლს, დაუყოვნებლივ დატოვეთ იგი;



გავხვებხარ და მოხუცებს დახმარება აღმოუჩინეთ პირველ რიგში!

დატბორვის მოულოდნელად განვითარების შემთხვევაში:

- სასწრაფოდ დაიკავეთ ამალღებული ადგილი; ყურადღებით იყავით წყალზე მოტივტივე საგნების მიმართ (რათა არ მოხდეს შეფახება და თავიდან აიცილოთ ტრავმა);
- თუ ტარდება ორგანიზებული ვაკუაცია, მაშველების მოსვლამდე ადით შენობის ზედა სართულებზე (სახურავზე, ხეებზე და სხვა შემალღებულ ადგილებზე);
- განუწყვეტილად გადაეცით სიგნალი უბედურების შესახებ: დღისით გამოფინეთ კარგად ხილვადი ქსოვილის ნაჭერი, ხოლო დაბნელებისას ისარგებლეთ შუქსიგნალით;
- მაშველების მოსვლისას, პანიკის გარეშე გადადით საცურაო საშუალებებში და შეასრულეთ მაშველების მოთხოვნები და მითითებები.



როგორ მოვიქცეთ, თუ თქვენ გინავთ სახლის მიტოვება

- თან წაიღეთ პირადი დოკუმენტები და აუცილებელი ნივთები (ფარანი, სასტვენის, სანვინარი, რეზინის ჩექმები, ბოთლი სასმელი წყლით, რადიომიმღები გამოსაცვლელი ელემენტებით, ჯოხი, თოკი და სხვა.) რამდენიმე დღის სამყოფი კვების პროდუქტები, წყლის, მედიკამენტებისა და საჭირო ნივთების მარაგი;
- გატარდით რეგისტრაციაში სავაკუაციო პუნქტში;
- ევაკუაციას ექვემდებარება შინაური ცხოველებიც;
- წყალში გასასვლელად გამოიყენეთ ყოველგვარი ჩაუძირავი მაშველი საგანი: ფიცარი, საბურავი, კასრი, ბიდონი;
- წყალში მოხვედრის შემთხვევაში ეცადეთ თავიდან მოიშოროთ მიძიმე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი;



ეცადეთ არ იაროთ წყლის ნაკადში!
**15 სმ სიმაღლის წყლის ნაკადმა შეიძლება ნააქციოს
აღამიანი.**

- თუ თქვენ იძულებული ხართ წყალში გადაადგილდეთ, იარეთ იქ სადაც წყალი მდორეა. გამოიყენეთ ჯოხი წყლის სიღრმის და ნიადაგის სიმყარის შესამოწმებლად.
- არ გადაადგილდეთ ავტომობილით დატბორილ რაიონებში. თუ თქვენი ავტომობილის გარშემო წყლის დონე მატულობს, თუ ეს უსაფრთხოა, გადმოდით მანქანიდან და გადადით უფრო შემალლებულ ადგილას.
- არ გადაკვეთოთ მდინარეები ფეხით ან ავტომობილით;
- თუ იმყოფებით წყალში, ტალღის მოახლოებისას ჩაყვინთეთ

მის ფუძესთან ღრმად და გარკვეული დაყოვნების შემდეგ ამოყვინთეთ;

- წყალში მოხვედრისას ცურვით ან მცურავი საშუალებების გამოყენებით გამოდით მშრალ ადგილზე;
- საცურაო საშუალებების უქონლობის შემთხვევაში, შეეცადეთ მარტივი ტიპის საცურაო საშუალებების გაკეთებას;



გამოიჩინეთ თავშეაპყვება და არ აჰყვით პანიკას!


წყალში დაზარაბულთა გადარჩენისას:

- ეცადეთ, რომ ის არ ჩაგებლეთ, დაიკავეთ ასეთი პოზიცია



- დაზარალებული დაანწინეთ ზურგზე, მკვრივ ზედაპირზე;
- დაზარალებულს ერთი ხელით გაუღეთ პირი, ხოლო ხელსახოცში ან ცხვირსახოცში გახვეული მეორე ხელის თითით გაუსუფთავეთ პირის ღრუ ქვიშისაგან;

- კეფის ქვეშ დადებული ხელის მეშვეობით მაქსიმალურად გაუშალეთ ხერხემალი კისრის მიდამოში, გააღებინეთ პირი ნიკაპზე ხელის დაჭერით და დააფიქსირეთ ასეთ მდგომარეობაში ერთი ხელით, მეორე ხელი მოუჭირეთ ცხვირის ნესტოებზე;



- ღრმად ჩაისუნთქეთ და გაღებულ პირზე მჭიდრო შეხებით ჩაბერეთ ჰაერი დაზარალებულს, ერთდროულად ცალი თვალით აკონტროლეთ მკერდის ღრუს აწევა. თუ ადამიანი უგონოდაა და ვერ ხერხდება პირის გაღება, მოახდინეთ ჰაერის ჩაბერვა ცხვირის ღრუს მეშვეობით. (ნუთში 16-20 ჩაბერვა);



- გულის მასაჟის ჩასატარებლად მოთავსდით დაზარალებულის გვერდით, ერთი ხელისგული დადეთ მკერდის წინა-ქვედა მხარეზე, მეორე ხელის გული პირველის გასწვრივ, გაშალეთ ხელები იდაყვებში და გააკეთეთ რიტმული დანოლები ტანის მთელი სიმიძიით (80-100 დანოლა წუთში);



- თუ მაშველი ერთია – ჰაერის ჩაბერვების დადანოლების რაოდენობის თანაფარდობაა 1:5, ხოლო თუ მაშველები ორია – 2:15;
- გულის რეანიმაციის დროს ყოველი ორი წუთის შემდეგ საჭიროა რამდენიმე წამით შეჩერება და საძილე არტერიაზე თითის მიდებით პულსის შემოწმება. ხელოვნური სუნთქვის და გულის მასაჟის ჩატარება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ დაზარალებულს არ აღუდგება სუნთქვა, პულსი, შეუვიწროვდება თვალის გუგები და გაუმჯობესდება კანის ფერი.

- არ ისარგებლოთ ელექტროხელსაწყოებით, რომლებიც წყალში მოხვდა;
- შეამონმეთ, დაზიანდა თუ არა ელექტრო, გაზისა და წყლის გაყვანილობის სისტემები;
- არ მიიღოთ საკვები პროდუქტები, რომლებიც წყალთან შეიძლება ყოფილიყო კონტაქტში;
- არ დალიოთ ადგილობრივი წყაროებიდან აღებული აუ-დულებელი წყალი.



ამონარიდი საქართველოს კანონიდან

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **საგანგებო სიტუაცია** – ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაში ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურებების, აგრეთვე დაზიანების საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა და ზიანდება ბუნებრივი გარემო;
- ბ) **საგანგებო სიტუაციის ზონა** – განსაზღვრული ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია;
- გ) **საგანგებო სიტუაციის რისკი** – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა ან სიხშირე, რომელიც განისაზღვრება რისკის შესაბამისი მაჩვენებლებით;
- დ) **საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება** – სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ,

სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და საშისპანარმოო ობიექტზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზ-ზიარებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – ზარალის შემცირების მიზნით;

- ე) **საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია** – საგანგებო სიტუაციების გაერთიანებული სალიკვიდაციო ძალების მიერ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისა და მათი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანის და ბუნებრივი გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზებისა და საგანგებო სიტუაციის წყაროს დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით საგანგებო სიტუაციის ზონაში დამისმომდებარე რაიონებში ყველა სახის სადაზვერვო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულება, ასევე ამ ძალების პირადი შემადგენლობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის ორგანიზება;
- ვ) **საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა** (შემდგომში – ერთიანი სისტემა) – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ობიექტებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება;

- ზ) **უსაფრთხოების დეკლარაცია** – საგანგებო სიტუაციის რისკის ფაქტორის შეფასების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ;
- თ) **დარგი** – დაკისრებული კომპეტენციის ფარგლებში რეგულირებადი სფერო;
- ი) **საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები** – ეროვნული, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ძალები, რომლებიც შედგება სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისაგან;
- კ) **სახანძრო-სამაშველო დანაყოფები** – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსადმი დაქვემდებარებული სახანძრო დაცვისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურების გაერთიანების შედეგად შექმნილი ძალები;
- ლ) **ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა** (შემდგომში – ეროვნული რეაგირების გეგმა) – ერთიან სისტემაში მყოფ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუნცებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რეაგირების გეგმების ერთობლიობა, რომლებიც ითვალისწინებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას.

მუხლი 8.

საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა

1. საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს საგანგებო სიტუაციის და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო, რადიაციული, ქიმიურ-

ბაქტერიოლოგიური, სახანძრო, ეკოლოგიური ვითარებების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის და მათი უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე.

2. საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომლის გავრცელება აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით.
3. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და იურიდიული პირის ადმინისტრაცია ვალდებული არიან მოსახლეობას მიაწოდონ ოპერატიული და გასაგები ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალებით, მათ შორის, ინტერნეტით).
4. აკრძალულია საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ინფორმაციის დაფარვა, მისი დაგვიანებით ან განზრახ გაყალბებული სახით წარდგენა.

მუხლი 14.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დანესებულებათა მოვალეობანი

1. საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დანესებულებები ერთიანი სისტემის აქტიური ფუნქციონირებისათვის, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:
 - ა) ქმნიან საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფებს;
 - ბ) ორგანიზებას უწევენ საგანგებო სიტუაციის დროს მოსახ-

ლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მათ მიერ რეგულირებადი დარგების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაოთა შესრულებას;

გ) საგანგებო სიტუაციის დროს დარგის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით გეგმავენ ორგანიზაციულ და საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავენ და ადგენენ საგანგებო სიტუაციის დროს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, პროდუქციის უსაფრთხოების ნორმებსა და წესებს, აგრეთვე ორგანიზაციების თანამშრომელთა დაცვის ნორმებს;

ე) საგანგებო სიტუაციის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავენ საჭირო ღონისძიებებს და ახორციელებენ მათ რეალიზებას;

სარჩევი

შესავალი	3
წყალდიდობა და წყალმოვარდნა.....	4
საგანგებო სიტუაციების შეტყობინების სისტემა და მასზე რეაგირების სქემა	6
ევაკუაციის განხორციელების ზოგადი რეკომენდაციები	9
წყალდიდობის შედეგების შემამცირებელი ღონისძიებები.....	10
საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.....	11
წყალდიდობის სანინალმდეგო ღონისძიებები	13
მოსალოდნელი კატასტროფული დატბორვის გამოცხადებისას ინყება	14
მოსახლეობის ქცევის წესები წყალდიდობის დროს	15
დატბორვის მოულოდნელად განვითარების შემთხვევაში	16
როგორ მოვიქცეთ, თუ თქვენ გინევთ სახლის მიტოვება	17
წყალში დაზარებულთა გადარჩენისას	18
როგორ მოვიქცეთ წყალდიდობის შემდეგ	21
ამონარიდი საქართველოს კანონიდან.....	23